წელიწადი 1-ლი     გაზ. ფასი 3 შაური.     ტელეფონი № 76.     კვირა სექტემბრის 3—(16) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . . 2 მანეთ.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 118     ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი     № 118

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

**ბათომის კომიტეტი.**

## სავალდებულო დადგენილება.

### ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ კომიტეტის 1917 წლის 17 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, კუბიკურ საჟენ შეშაზე დადგენილია შემდეგი ნიხრი (ტარიფი ნიხრში არ შედის):

1) **ოთხათ გაჭრილი** —12 ვერშოკიანი:
ა) **მაგარი** (მუხა, რცხილა, კოპიტი, წიფელა და თელა —125 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—100 მანეთი.
2) **ორათ გაჭრილი** 1 ნახ. არშინიანი.
ა) **მაგარი**—100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—85 მანეთი.
3) **გაუჭრელი** (სამ არშინიანი):
ა) **მაგარი**—100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—75 მანეთი

კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისაც აქვს გასასყიდლათ დამზადებული შეშა, ამ სავალდებულო დადგენილების გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინონ კომიტეტს ცნობები, თუ ვის რამდენი საჟენი შეშა აქვს და ჩააბარონ ის კომიტეტს.

იმ პირებს, რომლებიც დანიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ ცნობებს, შეშა ჩამოერთმევათ და გარდა ამისა ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმათ მომრიგებელ მოსამართლის წესდების 29 მუხლისა.

**ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.**

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 31 და ეკენისთვის 1, 2 და 3 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი:

## თავისუფლების სიმღერა

მხატვრული დრამა 5 ნაწილათ ვ. გ. ორლოვისა და ვ. გ. გაიდაროვის მონაწ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 31 და ეკენისთვის 1, 2 და 3 ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა

## ქმარა სისხლი!

5 ნაწილათ ო. ი. გზოვსაიას, ვ. გაიდაროვისა და ნ. პანოვის მონაწილეობით.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

## ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

## ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ იქ თავისუფალია **ქართული ენის შტატის მასწავლებლის ადგილი.** მსურველთ შეუძლიათ თხოვნით მიმართონ ამავე სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს.

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**
მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი №3.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

**სამშაბათს სექტემბერს 5-ს დილის 10 საათზე** (ახალ დრ) ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია **დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა**

## არაჩვეულებრივი კრება.

ფრიად საშურ და საყურადღებო კითხვების გასარჩევად.

**გამგეობა.**

**იყიდება** წულის გასათბობიანი ცინკის

## ვანა

იკითხეთ გენერლის ქუჩ. ფეიქაროვის სახლი

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## გენ. კორნილოვის გამოლაშქრების გამო.

აქამდი კონტრ-რევოლუციის აჩრდილი გვაშინებდა. დღეს კი თვით კონტრ-რევოლუცია გაჩაღდა. გენერალ კორნილოვი ამხედრდა და პეტროგრადზე გამოილაშქრა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

პეტროგრადიდან დასამშვიდებელი ცნობები მოგვდის: კორნილოვი სავსებით დამარცხდაო. მაგრამ გონიერება მოითხოვს, რომ უფრო ღრმათ დავაკვირდეთ გარემოებას. ეჭვი არაა, რომ გენ. კორნილოვს ნაწილი ყაზახებისა და სხვა ჯარიც მხარს უჭერს. მაშასადამე, ჯარი ორ-ბანაკად იყოფება: ერთი, სულ მცირე ნაწილი, კორნილოვის გავლენის ქვეშ არის, კონტრ-რევოლუციურია, მეორე, გაცილებით უფრო დიდი ნაწილი, კი რევოლუციურია. მაგრამ რევოლუციურ ჯარს ერთი ნაკლი აქვს: ოფიცრობასა და ჯარის-კაცთ შორის ვერ დამყარდა ერთობა. აქ შემაწუხებელი კითხვა იბადება: როგორ ხელმძღვანელობას გაუწევს ათვალწუნებული, რევოლუციით არა სავსებით კმაყოფილი. ოფიცრობა რევოლუციურ ჯარს კორნილოვის წინააღმდეგ?

ეს ყველა დამაფიქრებელი ფაქტებია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჯერ კიდევ ისე ღონივრათ სდგას ხალხში რევოლუციური სული, რომ კონტრ-რევოლუციონერი კორნილოვი უთუოთ დამარცხდება, თუ ახლა, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვსწერ, იგი დამარცხებულიც არაა. მაგრამ ამასთანავე შეიძლება ვსთქვათ, რომ ამით კონტრ-რევოლუცია სამუდამოთ ჩაჰქრება და კორნილოვები თავს ვერ წამოყოფენ?

ეს მწვავე კითხვა რომ სამართლიანათ გადავწყვიტოთ, საჭიროა რევოლუციის დღევანდელი მდგომარეობა გავითვალისწინოთ.

ზევით ვთქვით, რომ ხალხი ჯერ კიდევ რევოლუციური მისწრაფებით არის გაჟღენთილი. მაგრამ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ხალხის ფსიხოლოგია სათუთი რამ არის. დღეს ხალხი ადვილათ მოდის აღფრთოვანებაში, როდესაც იგი ფიქრობს, რომ საწადელ მიზანს მიაღწევს. ხვალ კი სულ წინააღმდეგი გრძნობით აღიჭურვება, თუ ამ მიზნის მიღწევა დაუგვიანდა და თავისი იმედები დაჰკარგა. როგორც პირველათ, აღფრთოვანების დროს, ისე შემდეგ, სასოწარკვეთილების დროს, სტიქიურად მოქმედებს, მდგომარეობის მიზეზს არ უკვირდება.

რევოლუციიდან ხალხი ბევრ სიკეთეს მოელოდა. რასაკვირველია, ეს იმედები სასურველი სისწრაფით არ გამართლდებოდა და კიდევაც არ გამართლდა. ხალხი თითქმის კიდევ უარესს მდგომარეობაში ჩავარდა. მასა არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ძველმა რეჟიმმა არასასურველი მემკვიდრეობა დაუტოვა ახალ მთავრობას, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო ცხოვრების გარდაქმნა და გაუმჯობესობა. რაც შეეხება მეორე ნაწილს ხალხისას, ბურჟუაზიას, ამათ ცხოვრებას ხომ სულ სამწუხარო დღე დაუდგა. ამით ხალხში, რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილება მატულობს.

სოციალ დემოკრატების („მენშევიკების“) ორგანო, „Рабочая газета“, სამართლიანათ ამბობს: „ხალხის უკმაყოფილება დღითი-დღე მატულობს. ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს: ვინც დღეს „ბოლშევიკებს“ მხარს უჭერს, იგი ხვალ შავ-რაზმელებს გაჰყვებაო“.

მაშასადამე, გენერალი კორნილოვი კიდევაც რომ სასტიკად დამარცხდეს, რევოლუციის ბედი ჯერ მაინც საფრთხეშია.

**დ. გურული.**

## ქუთაისის ხმოსანთა პირველი სხდომა.

პირველი სხდომა ქალაქის ახალი საბჭოისა კეთილ წინამორბედათ ჩაითვლება. აღარ სჩანს დასთა ჟინიანობა; მოწინააღმდეგეთა დეკლარაციები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ მორიგ საქმეთა გაძღოლას და არ ემუქრებიან ერთმანერთს ბოიკოტითა და მოსპობით.

- საბედისწერო დღეები, გამოურკვეველი მომავალ ქართველი ერისა, ცხოვრების გაკვეთილები, ეტყობა, ჰბადებს ნიადაგს მწყობრი შრომისას; ინტერნაციონალური პარტია-უმრავლესობა და ეროვნული-უმცირესობა შეთანხმებული მოქმედების დროს, უნებურათ, მექანიკის კანონის მიხედვით, ივლის იმ გზით, რომელიც დღეს ყველასათვის მისაღებია-სოციალური რეფორმებისა და ეროვნული აღორძინების გზით.

პირველი სხდომა ქართულად სწარმოებდა. ასეც უნდა ყოფილიყო იმ ქალაქში, სადაც მცხოვრებია 85% ქართველობაა, თუნდაც ერთ-ორს ხმოსანს არ ესმოდეს ქართული.

მხოლოდ ბ. ილ. ჩიქოვანმა დაარღვია ჰარმონია სხდომისა: ყოფილმა ქალაქის თავმა, ქართველმა მგოსანმა, დრამატურგმა და პუბლიცისტმა არ სცნო საჭიროთ ქართველ 64 ხმოსნისთვის ქართველობით სავსე დარბაზისთვის ქართულად მიემართა და 2 უცხო ტომის გასაგები რომ ყოფილიყო, რუსულად ამეტყველდა....

არ გვგონია, რომ თვით რუსებს ასეთი „პატივისცემა“ მოეწონოსთ...

მაგრამ ძველი ზნე-ჩვეულება ძველ პირებთან ერთად განშორდება ჩვენს ქვეყანას... A.

## კომისარების თათბირისთვის.

ენკენისთვის 4-ს თბილისში დანიშნულია ამიერ-კავკასიის კომისარების ყრილობა. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით პროგრამა ხვალინდელ ბჭობისა ავღნიშნავთ, რომ აწინდელ გართულებულ მომენტისთვის თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიერ-კავკასიაში ბევრი მწვავე, ძნელათ მოსაგვარებელი კითხვა გაჩნდა. ყველა მათგანი შეიძლება ადმინისტრატიულ სფეროს არ ეკუთვნოდეს, მაგრამ ადმინისტრატიულ გამგებლობას ყოველ დარგისთვის უნდა შეეძლოს გარკვეული და საღი ხელმძღვანელობა, თუ კი ეს დრომ აუცილებელი გახადა.

უწინარეს ყოვლისა ადმინისტრაცია თავის მოვალეობის შესრულებაში არ უნდა იყოს მარტო „ფორმალისტი“. ადმინისტრაცია ძირითადათ უნდა ეყრდნობ-ენდობოდეს ადგილობრივ ხალხს და მისი ჭირვარამი სათანადოთ იცოდეს. ამიერ-კავკასიაში ეროვნული სხვადასხვაობა განსაკუთრებულ პირობებს ქმნის. განჯის გუბერნიაში სომხებს და თათრებს იარაღით შეტაკება მოსდით. თავისთავად ეს მოვლენა უაღრესათ საშიშია. იგი არღვევს კავკასიის მშვიდობიან ცხოვრებას და შესაძლოა, სხვა ერებშიც გამოიწვიოს გაღიზიანება. შური და მტრობა.

ადმინისტრაცია ამ გზაზე მეტად ფრთხილი უნდა იყოს.

დატუქსვა-დაშინებით ძნელია საქმის სასურველათ მოგვარება. ამიერ-კავკასიის მმართველობას ესაჭიროება, ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებს შორის ფეხის მომაგრება. ამისათვის საჭიროა, მმართველობამ თავისი მოქმედება-მოღვაწეობა ადგილობრივ ხალხის ნამდვილ ნების-ყოფა-

სურვილებზე ააშენოს, მთავრობის მუშაობა შეუფარდოს აქაურ პირობებს.

რომ ეს შესძლოს მთავრობამ, საჭირო არ არის მმართველობაში არც „ამხანაგობა"-სა და არც ნაცნობობა პარტიობაზე დამყარება.

სწორი გზა არის მმართველობის წესების ხალხის მდგომარეობასთან შეთანხმებით წარმოება.

სამშობლო ენა, მმართველობის დაწესებულებათა გაეროვნულება მიუცილებელი პირობაა მმართველობისთვის ურყევ ნიადაგის მოსამზადებლათ. მმართველობას უნდა ჰქონდეს მტკიცე და სამართლიანი დისციპლინა.

უკანასკნელ დროს ქუთაისის გუბერნიის მაზრის და სასოფლო მმართველობებს დიდი **თვითნებობა** დასჩემდათ. სოფლებში სჩხრეკდენ და ატუსაღებდენ ხალხს უმიზეზოდ, ნება დაურთველად და გუბერნიის მმართველობის აკრძალვის მიუხედავათაც; ყველაფერი ეს დაამბრკოლებს და ხელს შეუშლის ახალ წესწყობილების განმტკიცებას.

საქართველოსთვის საჭიროა საგანგებო გამგებლობის პერსონალის შედგენა. ახლანდელი მმართველები მიუხედავათ იმისა გარკვეცებულის გულმოდგინებით შრომობენ, ხალხში საერთო თანხმობას და საერთო გულწრფელ თანაგრძნობას ვერ იწვევენ.

ეს მმართველობის უცხო სისტემის ბრალია. კარგა ხანია, რაც ქუთ. გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საქმეების სამშობლო ენაზე წარმოება, მაგრამ სამწუხაროთ ეს დღემდის რეალათ არ განხორციელებულა. არც ერთი მაზრა ქართულ ენაზე არ ეწევა მიწერ-მოწერას. კომიტეტის სხდომებზე ლაპარაკი მუდამ რუსულ ენაზეა, მხოლოთ იმიტომ, რომ კრებას ორი-სამი არა ქართველი ესწრება. ასევეა სასურსათო კომიტეტებში და მილიციაში.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება ამიერ-კავკასიის კომისრების კრებამ და საქართველოს გუბერნიების სამართავად შესაფერი გეგმა შეიმუშაოს ადგილობრივ წარმომადგენლობის დახმარებით.

რევოლუციის მოხდენიდან ექვსმა თვემ განვლო და დღეს დრო არის, საქართველოს ხალხმაც იგრძნოს რევოლუციის ნაყოფიერება სიკეთე. საქართველოს მართვა-გამგეობის საქართველოსვე პირობების მიხედვით მოწყობა, აი რას მოითხოვს მომენტი და ხალხის ინტერესი.

კომისარების თათბირი ყოველმხრივ განიხილავს და შეაფასებს დღევანდელ მდგომარეობას.

იმედია ქართველი კომისარები საქართველოს ყოფა-ცხოვრებას ალღოს აუღებენ და ქართველ ადმინისტრატორის როლში გამოვლენ.

ხალხი მათ მაშინ საერთო ნდობით მიეგებება.

ირ — დი.

# კორნილოვის ამბოხება,

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**შეთქმულება მთავარ ბანაკში**

**ჟიტომირი.** აგვისტოს 29. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრებაზე მიღებულია ზომები ქალაქისა და რევოლუციის დასაცველად. მთავარი გამგე ელნერი, მისი თანაშემწე გენერალი პავსკი და კანცლერიის უფროსი გენერალი სელგიევსკი დატუსაღებულ იქნენ. ჯარისკაცთა წარმომადგენლების ჩვენებით შეთქმულობა თურმე დიდი ხანია მზადდებოდა. ბერდიჩევის ჯარები ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილა. უმეტესი ნაწილი რევოლუციური სულით იყო გაჟღენთილი. კაზაკები და ორენბურგის პოლკები გზაზე დადგნენ. კაზაკებთან ხშირად ვილაცა პირები მიდი-მოდიოდნენ და ჩუმად რაღაცაზედ თათბირობდნენ. ბერდიჩევის მეორე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, ვიდრე ასეთი ამბები მოხდებოდა, მთავარსარდლის ცხენოსანი ამალა გაემართა გენერალ დენიკინის შტაბისაკენ. ასევე მოიქცნენ ჯავშნიანი ავტომობილები, როდესაც შეთქმულება გამჟღავნებულ იქმნა. ორენბურგელები გარდამწყვეტ მომენტის მოლოდინში არიან. ჯარების სხვა ნაწილები მთავრობის ერთგულნი დარჩნენ.

**მომქმედ ჯარში**

მდგომარეობის ნამდვილ სახეს გაეცნენ თუ არა, კაზაკები ყაზარმებში დაბრუნდნენ. შტაბში სრული წესიერებაა საზოგადოებათა და ჯარისკაცთა კავშირების საზოგადო კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუციები, დროებით მთავრობას მხარი დაუჭიროთ მთელი ჩვენის ძალ-ღონითაო.

**პროპაგანდა ბესარაბიაში**

**ოდესა.** აგვისტოს 25. (დაგვიანებული). ბესარაბიაში მოლდაველი ჯარისკაცები რეაქციონურს პროპაგანდას ეწევიან. მათს საწინააღმდეგოდ მოწვეულნი არიან მოლდაველი ლექტორები და აგიტატორები, რომ ხალხს მდგომარეობის სინამდვილე აუწყონ.

**გერმანელების დაპატიმრება**

**მომქმედი ლაშქარი.** აგვისტოსთვის 29. დროებითი მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებული არიან სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალი დენიკინი, შტაბის უფროსი მარკოვი, გენერალი ორლოვი და მორიგი მეთვალყურე გენ. ვოლკოვი. მთავარსარდლის თანამდებობას ასრულებს გენერალი ოგროდნიკოვი.

**მდგომარეობა ფინეთში**

**ელსინგფორსი.** აგვისტოს 29. ადგილობრივ მეციხოვნე ჯარებისა, სვეაბორგისა, ციხისა და მეზღვაურ ჯარისკაცთა შორის სრული სიწყნარეა. მეზღვაურნი და მეციხოვნე ჯარის კაცნი ძმურად ხელს უწოდებენ ერთმანეთსა და ფიცსა სდებენ სამშობლო და რევოლუცია იხსნან ღალატისაგან და გარე მომდგარ მტრის მახვილისაგან. რევოლუციურ კომიტეტები ხელშია მთელი შეიარაღებული ძალა. მარინის სასახლის და კრებების ალაგს ჯარისკაცები იცავენ.

**მოსკოვის აღმასრულებელი ორგანო**

**მოსკოვში.** აგვისტოს 30. სოციალ დემოკრატთა და საგუბერნიო სასწრაფო კრებაზე საჭიროდ სცნეს დაარსონ აღმასრულებელი ორგანო, რომელიც 5 კაცისაგან იქნება შემდგარი. ეს ორგანო აღჭურვილი იქნება სრული უფლებით კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად.

**კერენსკის მოწოდება ყაზახობას.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი. 1917 წ. აგვისტოს 27. თებერვლის დღეებში, როდესაც ყველა ეროვნებათა ერთსულოვან მონაწილეობით დაიმხო ძველი თვითმპყრობელობა, თქვენ თავისუფლების მოტრფიალენო, აღშფოთებულ ხალხის პირველ რიგში იდექით. ჩვენთვის მწუხარე დღეებში 3—5, როდესაც უპასუხისმგებლო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი შეეცადა სახელმწიფოებრივი გარდაქმნით კონტრ-რევოლუციურ მოქმედებათათვის ფართე გზის გახსნას თქვენ დროებითი მთავრობის პირველ მოწოდებისათანავე დარაჯად დაუდექით დიად რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებას და შეუდრკელად შეასრულეთ დემოკრატიის წმიდა ნება. ეხლა თქვენი სამშობლო მძიმე განსაცდელს განიცდის. კონტრ-რევოლუციონერთა შეთქმულებას სათავეში ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი კორნილოვი მოექცა და ამბოხება მოახდინა მთელ ერისა და დროებით მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მთელმა ჯარმა და საუკეთესო მის წინამძღოლებმა არ უღალატეს თავიანთ წმიდა მოვალეობას და ღალატით ჩირქი არ მოიცხეს. დროებითი მთავრობა და მასთან მთელი ერი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ყაზახობა, როგორც მუდამ რევოლუციურ ჯარის პირველ რიგში გამოვა და მთელ ლაშქართან ერთად ჩააქრობს მოღალატე შემთქმელთა უგვანო ცდას.

სამხედრო და საზღვაო მინისტრი

კერენსკი.

**ახალი სარდლები.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად დააყენეს გენერალი ოგოროდნიკოვი, ხოლო შტაბის უფროსად — პოლკოვნიკი გრომიკო.

**ბეჭვდითი საქმე.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი იუსტიციის მინისტრს წერილობითა სთხოვს სასწრაფოდ განხილულ იქმნეს სასამართლოში ბეჭვდითი საქმის ვითარება. ამასთან ერთად უნდა გამოქვეყნებულ იქმნეს დროებითი მთავრობის ახალი დადგენილებანი ბეჭვდითი საქმის შესახებ.

**დასავლეთ ასპარეზის მდგომარეობა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. დასავლეთ ფრონტის კომისარმა ჟდანოვმა განაცხადა, რომ ლაშქრის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდაო. მეორე ლაშქრის კაზაკთა პოლკები დროებით მთავრობას მიემხრენ. სხვა და სხვა ლაშქრებიდანაც ასეთივე სანუგეშო ამბები მოდის. პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა პეტროგრადის კომისარს სასტიკად თვალყური ადევნეთ 1917 წ. 27 აპრილის კანონი ბეჭვდითი საქმის შესახებ სწორედ იქმნეს შესრულებულიო.

**სამხედრო სამინისტროს ახალი მმართველი.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ვერხოვსკი დანიშნულია სამხედრო სამინისტროს მმართველად.

**გენ. კრილოვი ქედს იხრის.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. როგორც მოსული ცნობებიდანა სჩანს, ცხენოსანთა კორპუსის გენერალ კრილოვს გზა შეუცვლია, პეტროგრადისკენ აღარ მოდის. ჯარისკაცთა წარმომადგენლებისათვის მას გადაუცია, პეტროგრადზე აღარ გავილაშქრებ და მზად ვარ დროებით მთავრობის ყოველი ბრძანება შევასრულოო.

**უსსურის ყაზახთა დივიზია.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. 30 აგვ. სამხედრო ოლქის შტაბში მოვიდა უსსურის კაზაკთა ორი პოლკის დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, ჩვენი დივიზია კორნილოვის მიერ შეცდომაში იქნა შეყვანილი გვეგონა, ფინეთის ყურის დასაცველად გვგზავნიდნენო. დელეგატები ითხოვენ საჭირო სურსათს.

**ვერხოვსკის დეპეში კალედინს.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 30. მოსკოვის ოლქის ჯარების სარდალმა ვერხოვსკიმ დონის ყაზახთა ატამანს გენერალ კალედინს შემდეგი დეპეში გაუგზავნა: „იმ დროს, როდესაც მტერი ბრძოლის ასპარეზს არღვევს და პეტროგრადისაკენ მიემართება, მოსკოვის ოლქზე გავლით დონისკენ მოდიან ყაზახთა ჯარის ეშელონები მე გავიგე ისიც, რომ ყაზახებს პოვორინოს სადგური დაუჭერიათ. მე არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს ამბავი. თუ ყაზახობა რუსეთს ბრძოლას უცხადებს, მაშინ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ კალედინის მიერ დაწყებულმა საძმათაშორისო ომმა მთელი რუსეთისა და მთელი ჯარის გულის წყრომა დაიმსახურა. ამიტომ მოსკოვის ოლქში ყაზახთა ჯარის მასას მე დროებით მთავრობის წინააღმდეგობად ჩავთვლი და ფიცხელ ბრძანებას გავცემ ყველა შეიარაღებულ მეამბოხეთა მოსასპობათ.

ძალები, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი მყავს. საჩქაროდ ველი თქვენს პასუხს, რომელმაც უნდა გაფანტოს გაუგებრობა და თავიდან აგვაცილოს შეტაკება.

ეს უნდა იცოდნენ აგრეთვე იმ კაცებმა, რომელნიც რუსებს სამშობლოს საუკეთესო შვილებათ მიგვაჩნდა და რომელთაც იმედენი ღვაწლი მიუძღვით დიდი სახელმწიფოს შექმნაში".

**აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების შეერთებული სხდომა მოხდა. **დანმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, კომისიამ ყველა ზომები მიიღო კორნილოვის შეთქმულების ჩასაქრობლადაო. ყველა ზომები სამხედრო სამინისტროს მიერ მოწონებულ იქმნაო. შრომის მინისტრმა **სკობელევმა** განაცხადა, კორნილოვის გამოსვლამ ჩაქრა, კონტრ რევოლუცია უდღეური გამოდგა. ახლო მომავალში შევცვლით ლაშქართა გამგებლობის ტექნიკურს მხარესაო. მთავრობა რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმებით მოქმედობს. მაგრამ დღევანდელმა გამარჯვებამ არ უნდა მიგვაძინოს ვინაიდან შესაძლებელია კონტრრევოლუციონერებმა ხელახლად თავი წამოყონო. ამის მაგალითს იძლევა გენ. კალედინი, რომელმაც კორნილოვს მხარი დაუჭირაო. საბედნიეროდ ჯერ წვეთი სისხლი არ დაღვრილა. შემდეგ სკობოლევმა გაახსენა კრებას, რომ სამხედრო სამინისტროს გამგებლობა დაევალა გენერალ ვერხოვსკის, ხოლო საზღვაო მინისტრის ადგილი ადმირალ ვერდერევსკის. რაც შეეხება მთავრობას, აქაც მოხდა ერთგვარი ცვლილება. ახალმა ამბებმა ცხად ჰყვეს, რომ კაბინეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ იმათ, ვისაც ასე თუ ისე კორნილოვთან რაიმე საქმე დაუჭერიაო. (ხმები: არ შეიძლება, უფრო კონკრეტად ილაპარაკოთ?) ის პარტია, ვინც თავის ორგანოს ფურცლებზე განუცხადა, რომ კორნილოვი რეალ ძალას წარმოადგენსო, ვისაც ანგარიში უნდა გაუწიოთო, არ შეიძლება იმედოვნებდეს, რომ კაბინეთში მას როდისმე ექნება ადგილი, ვინაიდან ასეთს დროს კაბინეთში სრულიად უეჭვო და ნდობით აღჭურვილნი უნდა ისხდნენ მხოლოდ ასეთს მთავრობას შეუძლიან რუსეთის ჭრილობანი გამჰკურნოს და ქვეყანაც დემოკრატიულს იდეალებს აზიაროს!

სკობელევის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ავქსენტიევმა** ილაპარაკა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ კორნილოვის აჯანყების გამო მთავარი ბანაკი სამი დღის განმავლობაში ცარიელი დარჩა და ჯარებს ხელმძღვანელი არა ჰყავდაო. (ხმები: ,,სირცხვილი!''). თუ რომ მთავრობა განსაკუთრებული გარემოების მიხედვით იძულებული გახდა სასჯელის ზომები აღედგინა, რაც კი საუკუნეთათვის ჩაბარებული და სამარცხვინო გვეგონა, ეხლა ხელახლად შემოღებულ უნდა იქმნეს კორნილოვის გასამართლების დროს, რომელიც ასე სასტიკად მოითხოვდა დამნაშავე ჯარისკაცთა დისასჯელად. სასჯელის უკანასკნელი სიტყვა რევოლუციურს სასამართლოს ეკუთვნის, მაგრამ დროებითი მთავრობა არას გააკეთებს მისი ბედის შესამსუბუქებლად (ტაში), ამბოხება ჯერ არ ამოწურულა. გენერალი კალედინი სცდილობს კორნილოვის მზგავსად აჯანყდეს და მთელი დონის მხედრობა ამბოხების ცეცხლში გახვიოს. ამას სჩადიან ის ხალხი, რომელნიც მოსკოვის თათბირზე ბევრს ლაპარაკობდნენ სამშობლოს სიყვარულზე. მთავრობის შემადგენლობაშიც უნდა მოხდეს ცვლილება აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მათ, ვინც მკვეთრად არ გაჰხაზავს თავიანთ დამოკიდებულებას რევოლუციასთან და ამბოხებასთან და ვინც მეამბოხე გენერალთან მოლაპარაკება შესაძლებელი სცნო.

შემდეგ გამოვიდა **წერეთელი** მან ხაზი გაუსვა, რომ კონტრ-რევოლუციაზე გამარჯვება მოხდა დემოკრატიულ ყველა ძალთა შეთანხმებითაო. მთელი რუსეთი კორნილოვს ჩამოშორდა და რევოლუციურს დემოკრატიას მიემხროვო. შემდეგ დასძინა: კოალიციის იდეამ გაიმარჯვა და ეს უნდა ბოლომდინ დაცული იქმნესო. მთავარი ბანაკიდან უნდა განდევნილ იქმნენ ის ელემენტები, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონია კორნილოვთან. საჭიროა ერთი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც თავს მოუყრის მთელს დემოკრატიას. ბოლოს წერეთელმა მოითხოვა მე 4 სათათბიროს დათხოვნა.

**გენერალ ვალუევი.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 29. სამხრეთ დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალი გენერალი ვალუევი მთავრობის მხარეზეა და მინსკის კომიტეტთან ერთად მოქმედობს. ჯარმა მტკიცედ გადასწყვიტა მხარი დროებით მთავრობას დაუჭიროს.

**ყაზახთა კავშირის საბჭო.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 29. ცენტრალ კომიტეტის ყაზახთა სექციამ დაადგინა ყაზახთა კავშირის საბჭოს წარმომადგენლები გაუგზავნოს იმას შესატყობად თუ რა დამოკიდებულება აქვს მას მომხდარ ამბებთან. სექციამ დაადგინა: რადგან ზემოხსენებული საბჭო კრიტიკულის თვალით უყურებს მთავრობის მოქმედებებს და კორნილოვის მოქმედებასაც არა ჰკიცხავს, ჩვენ გადავსწყვიტეთ კავშირის დამოუკიდებლად მოქმედება.

**კავკასიელთა დივიზია.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. გაზეთმა კავკასიელთა დივიზიის შესახებ სისწორეს მოკლებული ცნობები გაავრცელეს. ამის გამო ვერიცის სადგურში მყოფი მაჰმადიანთა წარმომადგენლები აცხადებენ, დივიზიის ნაწილებმა უკანანასკნელ წუთებამდის არ იცოდნენ თუ რა მიზნით მიდიოდნენ პეტროგრადშიო როდესაც შეიტყვეს—განაცხადეს, რომ ჩვენ შინაურ პოლიტიკის გარეშე ვდგევართ და ჩვენი ვალი მხოლოდ სამშობლოს დაცვა არისო.

**კორნილოვი ოდესას ემუქრება.**

**ოდესა.** აგვისტოს 30. რამდენიმე პირი დააპატიმრეს, რომელთაც კონტრ-რევოლუციონერობა ბრალდებათ. დაპატიმრებულთა ვინაობას არ აქვეყნებენ.

რევოლიციურ მთავრობის წარმომადგენლებამა მთავარ ბანაკთან ტელეფონით თავიანთ სარდლად ისევ კორნილოვისა სთვლიან, მაშინვე შესწყვიტეს ლაპარაკი.

ცნობა მოვიდა, რომ კავკასიის ველური დივიზიამ ბრძანება მიიღო კორნილოვისგან ოდესისაკენ გაილაშქრეთო. დივიზიის უფროსნი შეეკითხნენ ფრონტის კომიტეტს, როგორ მოიქცეთო. როდესაც კომისარიატმა საქმის ვითარება განუმარტა, დივიზია აღარ დაემორჩილა კორნილოვის ბრძანებას და ახალ მთავრობის მხარე დაიჭირა. საზოგადოდ ოდესაში ფრთხილობენ და კორნილოვის მოწოდებათა გამავრცელებელთ იჭერენ.

**ხარლამოვის გაზეთი.**

**დონის როსტოვი.** აგვისტოს 30. რევოლუციის დამცველ კომიტეტმა ხარლამოვის გაზეთი „როსტოვსკაია რეჩ" წინასწარ ცენზურას გადასცა. ხარლამოვმა პროტესტი გააგზავნა კერენსკისთან.

**მდგომარეობა პეტროგრადში.**

პირდაპირი მავთულით გადმოცემულ დეპეშის მიხედვით, პეტროგრადში სულიერი განწყობილება ხალხისა ფხიზელი და შეურყეველია.

**მოსკოვის ჯარები.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 30. მოსკოვის სამხედრო ოლქს მოსდის მეციხოვნეთა ფიცი, დროებითი მთავრობის ერთგულები ვიქნებითო.

**უკრაინელთა სამხედრო საბჭო.**

**კიევი.** აგვისტოს 30. უკრაინის სამხედრო საბჭოს დეპუტატებმა დაადგინეს, კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად რადამ ხელთ იგდოს მთელი უკრაინის მართვა-გამგეობაო.

**პეტროგრადის გუბერნატორი.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. დროებითი მთავრობის ახალი ბრძანებით სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს პალჩინსკის ევალება პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ასრულება.

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**საეკლესიო ყრილობა.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 30. დღეს საეკლესიო დახურულს კრებაზე მიტროპოლიტ ტიხონის თავმჯდომარეობით განხილულ იქმნა პოლიტიკური საკითხები მომენტის შესახებ, უმთავრესად კორნილოვის ამბოხების გამო. კრებაზე მონაწილეობას იღებდენ მინისტრის ამხანაგი კოტლიარევსკი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, თავადი ტრუბეცკოი და სხვანი. 40 ორატორზე მეტი გამოვიდა. ორატორთა სიტყვები უმთავრესად რეაქციის სულით იყო გაჟღენთილი. ზოგის სიტყვას უფრო წყნარი და შემარიგებელი კილო ჰქონდა. დადგენილი, შემრიგებელი ხასიათის ეპისტოლე იქმნას გაგზავნილი ერის წინაშე. ტექსტის შედგენა დაევალა საგანგებო კომისიას. ტექსტის წაკითხვა ხვალ დილით მოხდება კრების გახსნამდე, როდესაც სამშვიდობო პარაკლისს გადაიხდიან.

**ბოლშევიკების განთავისუფლება**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 30. კონტრ-რევოლუციასთან მებრძოლი კომიტეტი იუწყება, რომ ახლო მომავალში განთავისუფლებული იქნებიან 3—5 ივლისს დატუსაღებული ბოლშევიკები. კომიტეტი ამით სასამართლოს მოხსნასაც კი არ ჰგულისხმობს, არამედ ამ პირთა საქმის განხილვამდე განთავისუფლებას. ამასთანავე კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველი თვითნებური გამოსვლა მხოლოდ პანიკასა და არევ-დარევას უწყობს ხელსაო.

# უკანასკნელი დეპეშები.

პ. დ. ს.

**მანეთის ფასის დაწევა.**

**ჰელსინგფორსი.** აგვისტოს 31. 100 მანეთში მხოლოდ 95 მარკას იძლევიან.

**გაუგებრობა ყაზახთა შორის.**

სამხრეთ დასავლეთის ასპარეზის შტაბში მომხდარ ამბების გამო დენიკინის ბრძანებით გამოსულ ყაზახთა შორის გაუგებრობა ჩამოვარდა. ამ გაუგებრობის გასაფანტავად მოხდა პოლკის კომიტეტის კრება სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზის კომისარის თანაშემწისა და აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა მონაწილეობით. ყაზახები დენიკინს შეუყვანია გაუგებრობაში. მას უთქვამს: ბოლშევიკები შტაბზე დაცემას გვიპირებენო. ევევე უთქვამს ყაზახთათვის პრაპორშჩიკ შამრაევს. ყაზახებმა საქმის გარკვევის შემდეგ განაცხადა ცნობა, რომ გვქონოდა, ბრძანებას არ ავასრულებდითო.

**სპარსეთის ჯარის მდგომარეობა.**

**თეირანი.** ავგისტოს 30. ახლად ჩამოსულმა გენერალმა ბარათაშვილმა პ. ღ. საავენტოს კორესპონდენტს განუცხადა: ჯარში კარგი სულიერი განწყობილება ტრიალებს. კომიტეტების მოღვაწეობა უფრო ჯარის ნაწილთა განათლებას ეხება. ჯარების შესაკრებელ ადგილებში იმართება ლექციები: ჯარის კაცი დამფუძნებელ კრებისათვის ამზადებენ. მე ვცდილობ სპარსელი მცხოვრებნი დავიცვა და ჯარის კაცთ ვავალებ ჰუმანიურ მოპყრობას. ჩვენი მთავარი საქმეა მანეთის ფასი ავწიოთ სპარსეთში.

**ოქროს გაზიდვის აკრძალვა.**

**ტოკიო** აგვ. 30. ოქროს გაზიდვა აკრძალულია. კორეის რკინის გზათა გამგეობა მანჯურიის სარკინიგზო კომპანიას გადაეცა.

**ეკონომიური კაბინეტი.**

**პარიზი.** აგვ. 30 შედგა ეკონომიური კაბინეტი. შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე დუმერგი; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კოკსია, ტრანსპორტისა და ფინანსთა მინისტრი.

**საფრანგეთის ახალი სამინისტრო.**

**პარიზი.** აგვ. 30. საღამოს პენლევემ პუანკარეს შეატყობინა, ახალ კაბინეტს შეადგენას ვიკისრებო. კაბინეტში შევლენ მინისტრ-თავმჯდომარედ პენლევე, სამხედრო და ფინანსთა მინისტრები ბარტუ ბურჟუა და დიუპუი.

**ჩ ხ რ ე კ ა.**

**კიევი** აგვ. 30. ჩხრეკის დროს დააპატიმრეს რასპუტინის მდივანი.

**დასავლეთის ასპარეზი**

ბანაკის ცნობა. რიგის მიმართულება. ჩვენი მოწინავე ჯარი მდ. ინუხდა ცეგენგოფ—პაუსკ—ზეგესვალდ—ზენედავაზე სდგას. იაკობშტადტის მიმართულებით სროლაა.

რუმინეთის ასპარეზით სიონიკის ჩრდ.-აღმ. მაღლობი დავიკავეთ, დავატყვევეთ 400 ჯარისკაცი, ეს ოფიცერი და წამოვიღეთ 6 ტყვიის მფრქვეველი.

კავკასიის ასპარეზზე სროლაა.

კორბასთან მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ.

**ლონდონი.** აგვ. 29. ჩვენს ფრინავებს ძალიან ხელს უშლიდა ცუდი ამინდი ბელგიაში ძლიერი საარტილერიო ცეცხლია. შამპანში გერმანელთა ხაზებს თავს დავესხით. მტრის მფრინავნი დუკერის რაიონს უშენდენ ყუმბარებს.

## კორნილოვის აჯანყების შესახებ.

(უკანასკნელი ცნობები თბილისიდან პირდაპირი მავთულით).

აჯანყება ისპობა, ამბოხების მთავარი მოთავენი დაპატიმრებულია. შეიპყრეს გენერლები კალედინი და კრილოვი. კორნილოვმა თავის მოვალეობა გენ. ალექსეევს გადასცა. კორნილოვი პასუხის გებაშია მიცემული, როგორც სახელმწიფოს მოღალატე, მას და სიკვდილით დასჯა ელის. სატახტო ქალაქში ყოველი დაწესებულება გასწმინდეს კორნილოვის მომხრეებისგან. კადეტები სამინისტროდან გავიდენ. ახალ სამინისტროს შედგენა მოკლეხანში მოსალოდნელი თუმცა არსებობს მეორე მოსაზრება, რომ სამინისტრო შესდგეს მემარცხენე დემოკრატიის თათბირის შემდეგ რომელიც გამოარკვევს, კოალიციური იქნება სამინისტრო, თუ არა. სხვადასხვა ქალაქებში სწარმოებს ფიცხელი მოქმედება კონტრ-რევოლუციონერების მიმდევართა დასაჭერათ. თბილისში **ევგენი** გეგეჭკორის მეთაურობით შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის დანიშნულება-მიზანიც არის კონტრ-რევოლუციის ჩანასახშივე მოსპობა.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**გუბერნიის კომისარისგან.** გუბერნიის კომისარი აცხადებს, რომ მას არავითარი ცნობა არ მისდის ფოსტით შაქრის და ჩაის გაგზავნის შესახებ, რომელი გაგზავნაც აკრძალულია. კომისარი განკარგულებას იძლევა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სისტემატიურათ მიაწოდოს მას ამის შესახები ცნობები.

✦ **ტყავის შესახებ.** ავერიანოვი აუწყებს გუბერნიის კომისარს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ცხვრის მატყლის და ტყავის მიმღებ დრ. მთავრობის კომისიებს.

✦ **ცხოვნა.** ზუგდიდის მაზრის და ქალაქის აღმ. კომიტეტები სთხოვენ გუბ. კომისარს, იშუამდგომლოს ოლქის სასამართლოს წინაშე, რათა ადგილობრივი გამომძიებელი იმიანიძე, როგორც მცოდნე ქართულ-მეგრულ ენისა და საზოგადოების ნდობა-მოპოვებული დატოვებული იქმნას თავის ადგილზე. იმიანიძე ქუთაისში გადმოჰყავთ.

✦ **კომისარების თათბირი.** ხვალ თბილისში დაიწყება ამიერ-კავკასიის კომისარების თათბირი. ქუთაისიდან დღეს საღამოთი თათბირზე მიდის გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე და გუბერნიის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გრ. ურატაძე. მათვე მიყვება ქუთ. გუბ. სახელმწ დაწესებ. მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი ფილიპე ფხაკაძე ხსენებულ დაწესებულებათა მოსამსახურეებისთვის ჯამაგირების მომატების საქმის მოსაგვარებლათ.

✦ **დუქნის გაღება.** გუბერნიის კომისარმა ბ-ს. არღალიანს ნება დართო კვლავ გააღოს ამას წინათ დაკეტილი სამიკიტნო იმ პირობით, რომ დუქანში ღვინო არ უნდა იყიდებოდეს.

✦ **ცნობა.** ქუთ. გუბერნიის გლეხთა საქმეების საკრებულო გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ საკრებულოს განკარგულებაში ამ ჟამათ არავითარი სურსათი სესხი და ფულის თანხა არ არის.

✦ **,,სინიდისის თავისუფლების საღამო''** ენკენისთვის 6-ს ქალაქის თეატრში კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გაიმართება პირველათ ქუთაისში დემოკრატიული ,,სინიდისის თავისუფლების საღამო''. წაიკითხავენ მოხსენებას ,,ზეციურ და ქვეყნიურ თვითმპყრობელობაზე'', გაიმართება კამათი საქართველოს ეკკლესიის განახლების შესახებ. კამათში მონაწილეობას მიიღებენ კათალიკოსის ამრჩევლები.

✦ **სწავლის ფულის მომატება** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში მოსამზადებელ განყოფილებებში სწავლის ფული იქნება 80 მან. 1 კლასიდან მე 7 კლასამდე 100 მან. მე 8 კლასში 150 მან. პანსიონერები გადაიხდიან წელიწადში 600 მან.

✦ **ბინის დამქირავებელთა კრება.** დღეს, ენკენისთვის 3-ს რეალურ სასწავლებლის დარბაზში შუადღის 12 საათზე დანიშნულია ბინის დამქირავებელთა კრება.

✦ **კელარევის ცნობა.** სასურსათო სამინისტროს რწმუნებული კელარევი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ მოსალოდნელ სასურსათო კრიზისის გამო მცხოვრებნი ვალდებულნი არიან პური სასურსათო კომიტეტებს გადასცენ და სთხოვს გუბერნიის კომისარს ხსენებული კომიტეტებს ამ საქმეში დახმარება აღმოუჩინოს.

✦ **წიგნის გამომცემლობა ,,განათლება''** აცხადებს მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასაყიდათ.

✦ **პირველ დაწყებითი გეოგრაფია,** ნაწ. პირველი, შედგენილი გ. მ. ცაგარეიშვილის, დ. ნ. ქუთათელაძის და შ. ო. სანიკიძის მიერ. სახალხო და საშუალო სკოლებისთვის. მისამართი: ქუთაისი თბილისის ქუჩა. ზაქ. მაჭავარიანის სახლი.

✦ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ გაზეთში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა, სწერია: ბართლომე მოსეშვილმა ექვსი თუმანი შესწირა. საკათალიკოსოს ფონდს, უნდა იყოს კომერსანტმა **პავლე მოსეშვილმა** ექვსი თუმანი შესწირა საქართველოს საკათალიკოსო ფონდს.

**თ ბ ი ლ ი ს ი**

**თბილისის პოლიტეხნიკუმში** 580 თხოვნაა მიცემული. მიღებულ ახალგაზრდათა ვინაობა ენკენისთვის 1—5-ს გამოცხადდება. ყველა პროფესორები ჩამოვიდნენ თბილისში, გარდა ბ. ნ. მელიქიშვილისა.

— **სარევოლუციო თავდარიგი.** ყველა ისეთ დაწესებულებებში, რომლებთაც კონტრ. რევოლუციონერებს შეეძლებათ სარგებლობა, ჯარებია ჩაყენებული.

— **უკრაინელთა კომისარების ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდნენ უკრაინელთ სამხედრო კომისარები პრაპ. ხიმენკო და გასენკო, რომელნიც მოელაპარაკებიან კავკასიის მხედრობის მთავარსარდალს უკრაინის საქმეებზე და უკრაინულ ამბებზე.

— **ბოლშევიკების ყრილობა.** ენკენისთვის 15-ს თბილისში დანიშნულია სოც.-დემოკრ. პარტიის მეუმრავლესეთა ფრაქციის დელეგატების საოლქო ყრილობა.

— **საუნივერსიტეტო სწავლის გადადება.** კიევის უნივერსიტეტის კანცელარია აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ მიუვიდია ცნობა შესახებ სწავლის დაწყებისა.

— **სტუდენტების ვაგონი.** ენკენისთვის 6-ს, დილის 10 საათზე, თბილისიდან გავა ხარკოვში-კიევში სტუდენტების ვაგონი № 6. ვისაც წასვლა სურს, უნდა ჩაეწეროს სტუდენტ გერშენზონთან (მელიქოვის, 11) საღამოს 4—7 საათ. ჩაწერის დროსვე უნდა წარუდგინოს ფული.

— **მიტროპოლიტ ლეონიდეს განცხადება.** საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრემ, თბილელმა მიტროპოლიტმა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში შემდეგი განცხადება შეიტანა: ,,ბოლო დროს გახშირდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ სამღვდელო პირთა სამსახურიდან დათხოვნა, ეკლესიის გასაღების და ქონების ჩამორთმევა, ასეთი მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგება სასულიერო მთავრობის უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს მინისტრთა ყოფილ თავმჯდომარის თ-დ ლვოვისაგან. სამღვდელო პირთა დათხოვნა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს არ შეუძლია. რაიმე უსიამოვნებას და უწესოების დროს საერთო მთავრობას ნება აქვს ამა თუ იმ სასულიერო პირის წინააღმდეგ საჩივარი აღძრას და მისი დაჩქარებით განხილვა სთხოვოს სასულიერო მთავრობას. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გუბერნიის კომისარებს განკარგულება დაუგზავნა, რომ ამიერიდან აეკრძალოთ ადგილობრივ აღმ. კომიტეტებს სამღვდელო პირთა გადაყენება, განკარგულება მოუვიდა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის კომისარს. კომისარმა მაზრის და სოფლების აღმასრ. კომიტეტებისადმი უკვე გასცა შესაფერი განკარგულება, რომ ხსენებულმა კომიტეტებმა არ მიისაკუთრონ ზედმეტი უფლება.

### ქუთაისის გუბერნიის კომისარის მოწოდება

## მოქალაქენო!

ხალხის თავისუფლების მტრები ამოძრავდენ. მთავარ სარდალმა კორნილოვმა უღალატა ხალხს, მიიმხრო რამდენიმე შეუგნებელი ჯარის ნაწილი და რევოლუციონური მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა. მან ბოროტათ მოიხმარა დროებითი მთავრობის ნდობა და ის იარაღი, რომელიც მას რევოლუციის დასაცავათ და გარეშე მტერთან საბრძოლველათ უნდა მოემარჯვა, ხალხის თავისუფლების და ბედნიერების წინააღმდეგ აღმართა.

**მოქალაქენო!** რევოლუციის მოღალატე მთელ ხალხში და ჯარში ზიზღს იწვევს. მთელი რევოლუციის ორგანიზაციები და საბჭოები და ჯარის დიდი ნაწილი დროებით მთავრობის მხარესაა, მას ნდობას უცხადებენ და მზათ არიან თავიანთი მკერდით დაიცვან თავისუფლება.

მოღალატე კორნილოვს ახლავს კაზაკების რამდენიმე ჯარი და ინგუშები, მოღალატემ ისინი მით მოატყუილა, რომ ვითომ ის საბრძოლველათ ბეგებთან და მსხვილ მემამულეებთან მიდიოდა. მაგრამ რაკი ჯარმა მისი ვერაგობა დაინახა, რაკი დარწმუნდა, რომ კორნილოვის ხმალი რევოლუციის წინააღმდეგ იყო აღმართული, ბევრმა მოღალატე მიატოვა და დროებითი მთავრობის წინაშე თავის შეცდომა აღიარა.

დღეს—ხვალ მოღალატე სახალხო სამსჯავროს წინაშე წარუდგება, მას შეიპყრობს ის ჯარი, რომელიც მან შეაცდინა და საკუთარი ძმების წინააღმდეგ აამხედრა.

**ჯარის კაცნო—მოქალაქენო!**

თქვენი რევოლუციური ვალია შემუსროთ ეს ღალატი. თქვენი რევოლუციური სინდისი და შეგნება გიკარნახებენ დაიცვათ ხალხი და მისი ინტერესები, თქვენ არ დაუშვებთ, რომ ძმათა სისხლის მორევში დაიხრჩოს თავისუფლება და სამშობლო.

**მუშებო!** მტერი ამხედრდა თქვენს წინააღმდეგ და გამოუცხადა ბრძოლა შრომის განთავისუფლებას!

**გლეხებო!** მოღალატეებს, თავისუფლების მტრებს სურსთ თქვენი უმიწო წყლოთ დატოვება და ამიტომ ესწრაფიან რევოლუციის დამარხვას; მათ ეშინიათ დამფუძნებელი კრების რომელიც მისცემს გლეხობას მიწას!

**მოქალაქენო** მოგიწოდებთ თქვენ დაიცვათ სრული სიწყნარე და წესრიგი! თქვენ მთელ რევოლუციურ ხალხთან ერთად უნდა დაიცვათ დროებითი მთავრობა და მოპოვებული თავისუფლებანი.

ყოველივე ცდა კონტრ-რევოლუციური გამოსვლებისა ჩემ მიერ სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად ძირიანათ იქნებიან აღმოფხვრილნი რევოლუციის დასაცავათ.

ნამდვილი ცნობები დღევანდელი მდგომარეობის შესახებ დაუყონებლივ გეცნობათ თქვენ, მოქალაქენო!

ყოველივე აღმაშფოთებელი და შეუმოწმებელი ცნობების გამავრცელებელნი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი

ჩვენი გზა არის—გზა უსასტიკესი ბრძოლისა მოღალატეებთან.

მე მოგიწოდებთ თქვენ ამ გზისაკენ და დარწმუნებული ვარ, რომ რევოლუციური ხალხი არ აღმართავს ხელს თავის წინააღმდეგ—წინააღმდეგ თავისუფლებისა და დაიცავს რევოლუციურ ორგანიზაციებს და დროებით მთავრობას.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი

**გრ. გიორგაძე.**

ავგისტოს 30-ს 1917 წ. ქ. ქუთაისი.

**კვირას 3 ენკენისთვეს დილის 10 საათზე**

რეალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდება ეროვნულ—დემოკრატიული მიმართულების მოწაფეთა (განურჩევლად სქესისა)

# საზოგადო კრება.

გაირჩევა მორიგი საკითხები. **დასწრება სავალდებულოა. მოწაფეთა პრეზიდიუმი.**

## ქალაქის ახალი საბჭოს სხდომა.

პარასკევს 1 ენკენისთვეს საღამოს სრულ 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში გაიხსნა პირველად ქუთაისში ქალაქის ახალი, დემოკრატიული საბჭოს სხდომა. კრებას ხმოსანთა დიდი უმრავლესობა დაესწრო. 66 კაციდან მოვიდა 56 კაცი. საბჭოს ახალი, სადღესასწაულო კრების გამო გარეშე სტუმართა ადგილებიც ერთიანად სავსე იყო. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის ყოფილი მოურავი ბ-ნი ი. ჩიქოვანი. კრების გახსნისას ის მიესალმა (თუმცა რუსულად, რაზედაც რამდენიმე ხმოსნისაგან სამართლიანი შენიშვნა მიიღო) ახალ ხმოსნებს. აღნიშნა, ქალაქის საბჭოების დანიშნულება დღეს უფრო დიდია, რადგან მარტო ადგილობრივ სამეურნეო მოთხოვნათა დაკმაყოფილებით კი არ განისაზღვრება, მათი მოქმედება არამედ ისინი ვალდებული არიან დარაჯათ უდგენ რევოლუციასაცო. პერიფერიების მუშაობას რევოლუციის გამაგრებაში დიდი როლი მიაწერა, ხოლო ყოველი ახალი საქმის მთავარ მიზნად რევოლუციის გამარჯვება დასახა. მან ერთხელ კიდევ გაიხსენა ცენზიანი ქალაქის საბჭო, გუბერნატორის ,,ოპეკა'' და მოგონებათა შავ წყვდიადს გააყოლა ის. სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოუწოდა ფეხის ადგომით პატივი ეცათ გ. ზდანოვიჩის და ძმათა საფლავზე დაკრძალულთა ხსოვნისათვის.

შემდეგ თავმჯდომარე მორიგ საქმეებზე გადავიდა. პირველი კითხვა იყო ახალ ხმოსანთა აზრის თქმა მათ მომავალ მუშაობაზე. თავმჯდომარემ გაახსენა კრებას ძველი საბჭოს წესი, სადაც ხმოსნები ფიცსა სდებდენ. კრებამ ამ საკითხზე მოკლე მსჯელობის შემდეგ უარჰყო ფიცის მიცემა და მოითხოვა ხმოსანთა აზრის გამოთქმას ფრაქციების დეკლარატიული გამოსვლის ხასიათი მისცემოდა.

დეკლარაციები წაიკითხეს: სოც.-დემ. ფრაქციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გრ. გიორგაძემ.

სოც.-რევ. ,, ,, ბ-ნ თევზაძემ.

სოც.-ფედ. ,, ,, დ. ნ. უზნაძემ

ეროვნ.-დემ. ,, ,, ტ. მ. ჯაფარიძემ.

ყველა მათგანი საზოგადოების წინაშე შლიდა მომავალ მუშაობის პერსპექტივებს და შეძლებისდაგვარად ჰპირდებოდა საზოგადოებას ქალაქის ათასგვარი წყლულების დაამებას. სამუნიციპალო პროგრამის განმარტებაში არსებითი განსხვავება არც ერთის მხრით არა ყოფილა, მხოლოდ სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები უპირატესობას აძლევდენ ამა თუ იმ მომენტს. (სოციალურსა ან ეროვნულს) ზოგან მოჭარბებული მოთხოვნილებანიც გამოსჭვიოდა; ბ-ნი დავიდოვიჩი, რომელმაც გიოგაძის დეკლარაცია რუსულად წაიკითხა, ქართველ დეკლარატორზე შორს წავიდა. გიორგაძე სოციალური რეფორმების მოთხოვნილებით კმაყოფილდებოდა, დავიდოვიჩი სოციალურს რევოლუციას უფრო რიხით გვიახლოვებდა. დაპირებათა შორის საბჭოს დღევანდელ მდგომარეობასაც შეეხენ; ქალაქის ძველს საბჭოს 600,000 მანეთი დეფიციტი ჰქონია. მომავალ მუშაობისათვის დეკლარატორები მოუწოდებდენ ხმოსნებს შეერთებას კონტრ რევოლუციის ასალაგმავად, ხალხის ეკონომიურ ძალების დასაზოგავად და დასახულ ფართე მიზანთა განსახორციელებლად.

სხვათა შორის ერ.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელმა ბ-ნმა **ტრიფონ ჯაფარიძემ** სთქვა: მე წარმომადგენელი ვარ იმ ფრაქციისა, რომელიც თავის რიცხვს აქ ანგარიშს არ უწევს. ეს ფრაქცია რიცხვს კი არა სთვლის, არამედ სწონის. ახალი საბჭო ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება ფრაქციების შეთანხმებული მუშაობისა. ჩვენი ფრაქცია მუდამ შეთანხმებისაკენ მიისწრაფის. მეორეს მხრით ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ვისიმე ეროვნული უპირატესობისა. სრული ეროვნული თანასწორობა, არის ჩვენი ფრაქციის მთავარი პრინციპი. ამასთანავე ჩვენ აღვიარებთ, რომ სოციალიზმი ხალხს ბედნიერებას არ მოუტანს. კერძოთ ქალაქის საქმეებში ჩვენი ფრაქცია ეცდება ქალაქის ახალი საბჭო ნაყოფიერობით, მუშაობით და გარჯით თავისუფალ ერთა საბჭოებს დაემგვანოს, ყოველგვარ მუშაობაში ვიხელმძღვანელებთ ეროვნულის თვალსაზრისით. ვეცდებით ქალაქის წყლულების არა შემსუბუქებას, არამედ მორჩენას. ქალაქის თვითმართველობა ეროვნული სინიდისის დარაჯი უნდა იყოს. ჩვენი მიზანია სხვისი კულტურული გამოცდილებით ნაყოფიერად სარგებლობა. ჩვენ მოვითხოვთ პატივისცემას ყველას აზრისა და შეხედულებისას და მოვუწოდებთ ყველა ცოცხალ ძალებს საერთო სნეული მშობელი დედის განკურნებისაკენ.

დამსწრე საზოგადობა მისი შეხედულების გამომთქმელი დეკლარატორებს ტაშით აჯილდოვებდა. დეკლარაციებს შემდეგ კრება ათის წამით შესწყდა, რათა მერე საქმეს შესდგომოდენ.

(შემდეგი იქნება.)

## სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა.

ჩაგრულ-დავრდომილთათვის საერთო სათაყვანოა ეს დალოცვილი რევოლუცია. უთვალავი და ანგარიშ-მიუცემელია ტვირთ მძიმეთა და დავრდომილთა თავისუფალი ხმა და სურვილი. გული სიხარულით ატოკებულია, იმდენი რამ სურს და სჭირია, რომ მკერდიდან გამოხტეს და ქვეყანას პირის-პირ უთხრას თავისი ზრახვანი და მისწრაფებანი. კურთხეულიმც იყოს თავისუფლება. და მისი მომპოვებელი რევოლუციამ მარტო შეიძლო დახავსებულ რეჟიმის დამხობა, რევოლუციამ მარტო დასდო სამინელი წუნი ძველ მთავრობას. რევოლუციამ აახმაურა ჩაგრული კუთხეები ნანატრ თავისუფლების მოსაპოვნელად. დადგა ოქროს ხანა დადგა ოქროს ხანა დაცემულთა აღდგომისა და დამონავებულთა თვით გამორკვევის. ამ საერთო სიხარულში, ვისაც კი მცირეოდენი წვლილი მიუძღვის დიდ რევოლუციის განსამტკიცებ-გასაღრმავებლად, ყველა გახარებულია სხვა უთვალავ მუშათა შორის ჩვენც, ჩვენც უმწეოდ მიტოვებული სოფლის მასწავლებლები! ჩვენ სოფლებში დავხვდით, როცა ელვის სისწრაფით მოეფინა სახელმწიფოს ძლევამოსილი რევოლუცია, მივატოვეთ ბავშვები და შევუდექით მისს გაღრმავებას სოფლებშიაც. ეს ხომ მხნეობა არის ჩვენგან?

მასწავლებელი, როცა სოფელში მიემგზავრება ახალ-დანიშნული, ან ყმაწვილი ქალია და ან ყმაწვილი კაცი, ძალღონით სავსე და იმედოვანი ბედის ხშირად ნახევრად დანგრეულ სკოლაში და ებრძვის სიბნელეს, არც კი კადრულობს გაამხილოს ყოველმხრივი თავისი გაჭირვება, ისევ და ისევ გატაცებულია პატარებთან მუშაობით, ფიქრობს—ესენი მაინც დამფასებენო, მაგრამ რა შეუძლიათ პატარებს? წაუშლელ ნიშნებად აჩნდება და, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი მასწავლებელი წლებით კი არა, თვე დღეებით კლებულობს. ამას ყველა კარგათ ხედავს, მაგრამ ყველა უყურადღებოთ სტოვებს. ძველმა მთავრობამ პოლიციის სტრაჟნიკებიც მეტად დააფასა სოფლის მასწავ-

ლებელზე. ახალმა მთავრობამ შეპირება კი გამოილო, მაგრამ რკინის გზის მუშებიდგან და ფოშტა-ტელეგრაფის ჩინოვნიკებიდგან დაიწყო და ჩვენამდი კი ამ ექვსითვის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მოაწია. რაზე და რისთვის? საკვირველია. საჭირო რომ ვართ, ეს ძველმა მთავრობამაც და ახალმა უკეთ უნდა იცოდეს. იმუშავეთო, გვეუბნებიან: დიდი სიამოვნებით და სიხარულით, მაგრამ რავქნათ, გვშია. რად უნდა ახალ მთავრობას, რომ ჩვენგან, მასწავლებლებისგან „გვშია“ გაიგონოს. განა თითონ არ ხედავს ჩვენს უმწეო მდგომარეობას? დღეს მანეთის კურსი არც ორი შაურია და რას გვიზამს ის შვიდი თუმანი (შვიდი მანეთი), რომელიც ჩვენთვის თვიურად საკმარისი ჰგონიათ. კურსები ვითხოვეთ ხომ საერთო საქმის გასაუმჯობესებლად? მაგრამ პასუხად სიჩუმე; ჯამაგირის მომატება ვითხოვეთ და ისევ სიჩუმე. სხვა რა ვითხოვოთ, თუ პასუხად ისევ სიჩუმე იქნება. მაგრამ. მაგრამ სანამდი?

**სოფლის მასწავლებელი.**

## მოწერილი ამბები

**ს. ვანი** (ქუთაისის მაზრა) განმათავისუფლებელ რევოლუციის პირველ ხანებშივე გაუქმებულ იქმნა ადგილობრივი პოლიცია და მის ნაცვლად შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი. მაგრამ იმ წესების ძალით, რომლის ხელმძღვანელობით მთელ რუსეთში ახდენდნენ არჩევნებს, აღმასრულებელი კომიტეტის წევრებათ ისეთი პირებიც მოხვდნენ, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ საზოგადოების მოთხოვნილებას. ვინ არის ამ შემთხვევაში დამნაშავე? ხალხი? არამგონია, ვინაიდან იგი (ხალხი) ისე მოიქცა ალმ. კომ. წევრთა არჩევნების დროს „როგორც უბრძანეს“ ე. ი. იმ პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატთა სიას უყარა კენჭი, რომელსაც იგი თანაუგძნობდა და სრულიად არ ცდილა გაეგო „თუ ვინ იყო იმ სიაში ალმ. კომ. წევრებათ დასახელებული. (ან კი რას გააწყობდა, კიდეც რომ ცდილიყო, როდესაც უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას წერა-კითხვისა არა გაეგება რა?)

ამ რიგად ს. ვანის აღმასრულებელ კომიტეტში ხშირად ჩხუბსა და ტყვილაყვირილში გადის დრო.

საზოგადოებისთვის კომიტეტს თვალსაჩინო ახალი რამ არაფერი შეუქმნია. წევრათ უმრავლესობა ალმ. კომ. დანიშნულ სხდომებსაც არ ესწრება.

აქაური კომისარიც თითქმის დიდათ არც კი განსხვავდება ძველი რეჟიმის დროს გაბატონებულ ბოქაულებისაგან.

სასოფლო მწერალი, გ. ნ—შვილიც, ძლიერ უდიერათ ეპყრობა საზოგადოებას. ხშირად ლანძღვა-გინებით და „უქკუო“, „სულელი“, „ჩერჩეტი“ და სხვა ამგვარი სიტყვებით უმასპინძლდება მისულებს

მოვუწოდებ, როგორც ს. ვანის საზოგადოებას, აგრეთვე ალმ. კომიტეტის წევრთ კომისარს და მწერალს, რათა დაუყონებლივ გაუმჯობესებულ იქმნას ალმ. კომიტ. შემადგენლობა და საზოგადოების მოთხოვნილების აუხაუ აგდებას ალაგი აღარ ექნეს.

**ი. საჩინოელი.**

—

**დ. წალენჯიხა** (ზუგდ. მაზრა) აგვისტოს რიცხვებმა პირნახული გამოაკეთა. თუმცა კარგ მოსავალს ელიან, მაგრამ შიმშილობა მაინც მოსალოდნელია, ვინაიდან დათესილი ადგილები მუშა ხელის ნაკლებობისა გამო მეტად მცირეა.

ენკენისთვიდან აქ იხსნება უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი.

სოფლად სიმშვიდეა მხოლოდ აქა-იქ ამ უკანასკნელ დროს ბოროტ მოქმედობას ქონდა ადგილი, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტებისა და კომისარების თავგამოდებული მუშაობა თავდებია იმისა, რომ ბოროტმოქმედებებს სოფლად (განსაკუთრებით წალენჯ. რაიონში) მოეღება ბოლო. ივლისის ბოლო რიცხვებში ზარქუას ქვრივს დაეცნენ ყაჩაღები და ორიათასი მანეთის სხვადასხვა საოჯახო ნივთები და ტანისამოსი გაიტაცეს. ეჭვით შეიპყრეს ვინმე ბაბალუა, რომელიც თურმე შემჩნეული იყო ცუდკაცობაში; ქვრივმა კი იცნო ნამდვილი ბოროტმომქმედი. საზოგადოებამ მოითხოვა მისი სიკვდილით დასჯა. დიდი ხვეწნა-დავიდარაბით შეგნებულმა პირებმა ბოროტმომქმედი სიკვდილისაგან იხსნეს, იმ პირობით, რომ იგი ერთ კვირაში ან დაკარგულ საქონელს აღმოაჩენდა ან და მის ამხანაგებს დაასახელებდა. მაგრამ ამაოთ. მაშინ ხალხმა გადასწყვიტა უჭმელობით დაეტანჯა დამნაშავე. ხუთი დღე და ღამე ეგდო უჭმელ-უსმელი საპყრობილეში; თვით სოფლელები სდარაჯობდენ მას, რომ ვინმეს პური ან წყალი არ მიეტანა მისთვის. არც საზოგადოება მოლბა და არც დამნაშავემ გაამხილა თუ სად ქონდა გადამალული საქონელი ან ვინ იყვნენ მისი თანამოზიარნი. ამასობაში ადამიანი დასუსტდა. სიკვდილის ჟამი მოახლოვებულიყო, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა იმდენი გავლენა იქონიეს ხალხზე, რომ თავდების ქვეშ გამოუშვეს იგი, იმ პირობით, რომ ოცდა-ხუთი დღის განმავლობაში ან საქონელი აღმოაჩინონ ან და გაძარცული ქვრივის სასარგებლოდ ათასშვიდასი მანეთი გადიხადონ და ბოროტმოქმედიც კომიტეტს წარუდგინონ. ჯერ ეს ზომები მიიღო ხალხმა და აწი რას იზამს, მომავალი გვიჩვენებს.

**ლაგირძია.**

## წერილები მოსკოვიდან.

ბოლო ხანებში მოსკოვს არა ჩვეულებრივი მღელვარება ეტყობა. ზოგ ადგილას უპურობით შეწუხებული ბრბო თავისებურ გამოსვლებს იწყებს. სხვათა შორის ასეთ გამოსვლებს კვირას 20 აგვისტოს ქონდა ადგილი.

სალიანკაზე (ქალაქის ნაწილია) დილით ფურნის წინ რიგში მდგომნი იმთავითვე საყვედურს გამოთქვამდენ, რომ პური არ იშოვება და, რაც იშოვება, იმასაც მალავენო. ბრბოს მღელვარება თანდათან მატულობდა და, როცა ფურნის კარები გაიღო, ხალხი შეცვინდა შიგ და ყველაფერი დალეწა.

როგოჟის ქუჩაზე ჯოხებით შეიარაღებულმა ბრბომ რამოდენიმე დუქანი დაამტვრია.

სავაჭრო ქუჩაზე ბრბო შეესია ებრაელების სავაჭროს, დაარბია იგი და მოკლა ორი ებრაელი ისმოდა ხმები, რომლებიც ხალხს პოგრომებისაკენ იწვევდა.

აი, მოკლე ეპიზოდები, როგორც მოსკოვის ისე მთელი დამშეულ რუსეთის დღევანდელ ცხოვრებიდან. სახელმწიფოებრივი ძალა დაიხურა სამი წლის ზარბაზნების ღრიალმა და **საერთაშორისო-ორომტრიალმა** აუტანელი პირობები შექმნა. მისმა გაუმაძღრობამ და და მთელი სახელმწიფოებრივი ენერგიის თავისთვის გამოყენების მოთხოვნამ რუსეთის ცხოვრების ყველა სფეროში კრიზისი დაბადა. გაკოტრდა სახელმწიფო ფინანსიურათ. აღარ არის პური; კუდები, რომლებსაც პროტოპოპოვი ეზოებში დამალვას უპირებდა, უფრო გაიზარდა და მით რიგში გაჩერების დროც ხანგრძლივი და აუტანელი შეიქნა. განსაკუთრებით უსურსათობის გამო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა დიდრონი ცენტრები. სოფლები კატეგორიულათ უარს აცხადებენ პურის შემოტანაზე. მოსკოვი სიმშილის პირზე სდგას, ვინაიდან ასეთი უსურსათობის დროს რიგის ალებამ და პეტროგრადის არეულმა მდგომარეობამ მრავალი მცხოვრები მოიზიდა. მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის მართველობა ყოველსავე ძალას ხმარობს მცხოვრებთა მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, ყოველივე ეს არ შველის და, ხედავ რა ზემოთ ჩამოთვლილ გამოსვლებს თითქოს სინამდვილის სამოსით შემოსვას ლამობს ის აზრი, რომ უპურობისაგან დაბადებულ რევოლუციას უპურობავე ჩაახრჩობსო.

* *
*

მიუხედავად იმისა, რომ მისკოვი ასეთ მდგომარეობაშია: არ იშოვება ოთახი არ იშოვება სანოვაგე და, რაც იშოვება იმასაც ზღაპრული ფასი ადევს, მიუხედავათ ყოველივე ამისა, ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა მოაწყდა. მართალია სტუდენტის ცხოვრება (და განსაკუთრებით ქართველი სტუდენტის ცხოვრება) წინათაც არ აღინიშნებოდა „სიმდიდრით“, მაგრამ დღევანდელი მისი უმწეო მდგომარეობა ყოველივეს აღემატება. განსაკუთრებით აღსანიშნავია უოთახობა. ბევრ ჩამოსულ ახალგაზდას სადგურზე უხდება გაჩერება. როგორც ვიცით, მოსკოვის გართულ საზოგადოებს ორი სადგომი მოეპოება ერთი ქართული საავადმყოფო და მეორე სამკითხველო. დაიბადა იდეა ამ ორ სადგომში სტუდენტობის მოთავსების, გადაკეთება მათი ეგრედ წოდებულ საერთო სადგომათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის შესახებ არც დადებითი და არც უარყოფით არაფერი ისმის. მოსკოვის ქართული საზოგადოების ვალია ამ გარემოებას დროზე მიაქციოს ყურადღება და უბინო ქართველ სტუდენტობას საჭირო დახმარება აღმოუჩინოს.

* *
*

საერთო კრიზისმა სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის აზრიც დაბადა. გაგრძელდეს თუ არა სწავლა? 24 აგვისტოს უნივერსიტეტში მოხდა მთელი მოსკოვის სტუდენტთა ორგანიზაციების დელეგატთა კრება. კრების საგანი იყო: 1. ცნობები ოთახებისა, სურსათისა და ტრამვაის გაძვირების შესახებ, და 2. კითხვა მომავალი აკადემიურ წლის მუშაობისა.

მთელი მოსკოვის მშობელთა კავშირმა ამ საკითხის შესახებ უკვე იქონია მსჯელობა და კითხვა დადებითათ გადაწყდა. სწავლა უნდა გაგრძელდეს.

კარგა ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სტუდენტობა იმ აზრს დაადგა, რომ მიუხედავათ აუტანელი მდგომარეობისა სასურველია სწავლის დაწყება.

**Novus**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**მოქალაქე რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირებს, რომელთაც შემოსწირეს სოფ. ღარიხევის ორ შტატიან გიორგის ეკლესიის ახლად ასაგებ კანკელის სასარგებლოთ შემდეგი: 1) დესპინა კაშკაძისამ 10.; 2) ლიდა მაჰავარიანსამ, ძმის პოლიევქტ ტაშატაძის მოსახსენებლათ 5 მ; 3) ალექსი სვიმონისძე მაქაძემ 12 მ.; 4) მისმა მეუღლემ ანნა ფარსადანის ასულმა 3 მ.; 5) შვილმა მისმა სვიმონ მაქაძემ 3 მ.; 6) დიმიტრი კვირკაშვილმა 3 მ.; 7) შიო კვირკაშვილმა 3 მ.; 8) ბერო დეკანოსიძემ 2 მ; 9) ოლღა დეკანოსიძისამ 3 მ.; 10) ილიკო დეკანოსიძემ 1 მ.; 11) კალენია დეკანოსიძისამ 1 მ.; 12) ანტონ შუხნიკაშვილმა 1 მ.; 13) ვასილ გიორგისძე კიკნაძემ 3 მ.; 14) ეკატერინე კამკაბიძისამ 2 მ.; 15) ვლადიმერ მაღლაკელიძემ 5 მ.; 16) რუსუდან მაღლაკელიძისამ 2 მ.; 17) ერმონია დევდარიანისამ 1 მ.; 18) დიმიტრი ჰიაშვილმა 1 მ,; 19) გრიგოლ ჰიპაშვილმი 3 მ.; 20) იასონ ჰიპაშვილმა 3 მ.; 21) სილიონ ჰიპაშვილმა 2 მ.; 22) პარმენ ჰულუხაძემ 2 მ.; 23) ივანე ჰიპაშვილმა 1 მ.; 24) მოსე ნანიტაშვილმა 1 მ.; 25) ივლიანა ნანიტაშვილისამ 1 მ.; 26) დიონოზ ნანიტაშვილის მოსახსენებლათ 1 მ.; 27) გიგო სესიასძე ჰიპაშვილმა 3 მ.; 28) პელაგია ჰიპაშვილისამ 2 მ.; 29) იოსებ ნანიტაშვილმა 2 მ; 30) დავით ნანიტაშვილმა 2 მ.

**მღვ. პეტრე მიხელიძე**

——

გთხოვთ თქვენს გაზეთში ეს წერილი მოათავსოთ.

5 აგვისტოს, ღამით, ქალაქის ბაღში გამართულ მიტინგზე მე პირველმა განვაცხადე სიტყვიერი პროტესტი დროებით მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ. ჩემი სიტყვისათვის ერთი დღით დამაპატიმრა ადგილობრივმა კომისარმა გ. გიორგაძემ. მაგრამ ჩემმა მტრებმა ეს ძალადობა არ იკმარეს და ჩემს წინააღმდეგ ფიცხელი მოქმედება დაიწყეს. ჩემს თბილისის ყოფნის დროს მათ დამაბეზღეს ჯერ „ოფიცერთა საკრებულოში“ და მერე მუშათა და ჯ.-კ. დეპ. საბჭოში.

პირველ დაბეზღებაში ბრალსა მდებენ, თითქო მე ოფიცერთა დახოცვისთვის მომეწოდებიოს აგვისტოს 21-ს, სწორედ იმ საღამოს როცა მე თბილისში მივდიოდი. ეს საშინელი პროვოკაცია დღეს ყველასათვის ნათელი გახდა, რადგან მაბეზღარ არც კი ცდილა გაეგო, სად იმყოფებოდა მისი მსხვერპლი.

მეორე დაბეზღება ჩემთვის უფრო ძნელი ასატანია. მე მაბრალებენ, თითქო მომეწოდებიოს ხალხისათვის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მოიშორეთო აქ ცილის მწამებელნი აშკარად ცდილობენ აამხედრონ ჩემს წინააღმდეგ გლეხები, ჯარისკაცნი და მუშები, ესე იგი სწორედ ისინი, რომელთა გულისათვის მე ვიბრძვი არა მარტო დღეს, არამედ ვიბრძოდი 1905 წელშიდაც. მაშინ მე ხალხს მოვუწოდებდი ბარიკადებისაკენ ამას მოჰყვა ალიხანოვის ბრძანება ყაზახებისადმი, დაეწვათ ის სახლი, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობდით, და მეც ჩემის ოჯახით იქ დავეწვით. მხოლოდ ჯანსაღ დადეშქელიანის ამ საქმების შემთხვევითმა ჩარევამ დაგვიხსნა ჩვენ ამ ველურ გამკლავებისაგან. მაშინ ნიკოლოზ მეორე მეფობდა. ჩვენ მეტად მძიმედ გვაწვა თავზე იმ დროის ძალადობა და თვითნებობა, ჟანდარმები და ჯაშუშები გვატუსაღებდენ, გვალპობდენ საპყრობილეებში, დღეს კი!?

დღეს თავისუფლებაა, მაგრამ ვისთვის!? ყველასათვის? არა. მე ძველებურადვე მდევნიან, მაბეზღებენ და საპყრობილეში ჩასმას მემუქრებიან.

ნუთუ ისევ უნდა გაიმარჯვოს ძველებურმა ძალადობამ?

ნუთუ ახლანდელი „სოციალისტები“ ძველებურ ჟანდარმებივით უნდა მსდევნიდენ?

ცხადის, რომ პურის ყანაში მავნე-ღვარძლიც გაჩენილა. 21 აგვისტოს ოფიცრის გალახვის გამო გამოძიება დაიწყო. მე მოვითხოვ პროვოკატორულ ცილის წამების დაწვრილებით განხილვას და მისი შემთხზველების აღმოჩენას. დაე, საზოგადოებრივ სინდისის წინ დაასახელონ მათ თავისი გვარები, თუ მშიბარები არ არიან.*)

**ნინო ჩარექოვისა.**

## ქირნახულის მოსავალი კავკასიაში.

**ჩრდილო-კავკასია.** (ყუბანისა და თერგის ოლქი და სტავროპოლის გუბერნია) მთელ ჩრდილო კავკასიაში შემოდგომის ნათესი სჯობდა გაზაფხულისას. ივლისის პირველ კვირას ყუბანისა და თერგის ოლქში ნათესი გაფუჭდა. ჩრდილო-კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში (ალექსანდროვის და სვიატო-კრესტოვის მაზრებში და ხასავიუტის ოლქში) კავკასიის ამ ნაწილის სხვა ოლქებთან და მაზრებთან შედარებით მდარე იყო. ჩრდილო-კავკასიის დასავლეთ ნაწილში მდარე მოსავალი მაიკოპის განყოფილებაში და ეკატერინოდარის ნაწილში იყო.

სამხრეთ აღმოსავლეთი გვალვისგან დაზარალდა, დასავლეთი (მაიკოპის განყოფილება) დიდ წვიმებისაგან.

საერთოდ ჩრდილო-კავკასიის მოსავალი ამ წელს საშუალოდ ითვლება, თითქმის საშუალოსაც აღემატება. განსაკუთრებით კარგი მოსავალი მოვიდა ბლაგოდარნებისა და სტავროპოლის მაზრებში, სტავროპოლის გუბერნიაში ყუბნის ოლქში და თითქმის მთელ თერგის ოლქში ხასავიურტის. ყიზლიარის და მოზდოკის განყოფილებების გარდა.

**დასავლეთი ამიერ-კავკასია.** (შავიზღვის გუბერნია, სუხუმის ოლქი, ბათომის ოლქი და ქუთაისის გუბერნია) დასავლეთ ამიერ-კავკასიაში უმეტესად სიმინდი მოჰყავთ. ამ რაიონში წლეულ კარგი მოსავალი იყო.

ტუაპსეს ოლქში მოსავალი მთლად არ აკმაყოფილებს მცხოვრებთ. წლეულ აქ მეტად ხმელი ამინდი იყო.

სოჩის ოლქში, შავი ზღვის გუბერნიაში, სოხუმის ოლქში, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში დიდი წვიმები იყო, რამაც ხელი შეუშალა კარგ მოსავალს. საერთოდ დასავლეთ ამიერ-კავკასიის მოსავალი საშუალოს აღემატება. სიმინდის მოსავალი ხომ თითქმის ყველგან საშუალოს აღემატება. მეტად მდარე მოსავალი მოვიდა ოზურგეთის მაზრაში და ბათომის ოლქში.

**თბილისის გუბერნიაში** და ზაქათალის ოლქში მოსავალი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. გვალვით მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი დაზარალდა.

**ამიერ-კავკასია.** (ყარსის ოლქი და ერევნის გუბერნია). ყარსის ოლქში საგაზაფხულოთ სთესენ. ერევნის გუბერნიის დაბლობებში საშემოდგომოდ. მთლობებში (ალექსანდროპ.) საგაზაფხულოდ. საშემოდგომოდ ნათესი მოსავალი საერთოდ საშუალოს აღემატა. საგაზაფხულოდ ნათესი კი დაზარალდა. მეტად დაზარალდა ალექსანდროპოლის მაზრა სადაც ბალახიც კი გადიხრუკა.

**აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია** (ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნია და დაღესტნის ოლქი).

მოუსავლიანობა წლეულ რუხის არეშის და ყარიაგინის მაზრებში იყო. მოუსავლიანობა ეტყობოდა აგრეთვე ელისავეტპოლის, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრებს, ბაქოს გუბერნიის ნაწილს და დაღესტანის მთიან ნაწილს. საერთოდ ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტად დაზარალდა: ბაქოს გუბერნიის ნაწილი, ელისავეტპოლის გუბერნიის ოთხი აღმოსავლეთით მდებარე მაზრა, მთიანი დაღესტანი, ალექსანდრეპოლის მაზრა და ყარსის ოლქი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ქ. ნინო ჩარექოვის თხოვნით და მისი სრული პასუხის მგებლობით. რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — სალამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

**ა. მ. ასათიანი** დებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმები

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში უსხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში